პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ОСНОВАНА 1920 ГОДА 3 ИЮНЯ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (18404) სამშაბათი, 13 ივლისი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულვყოთ საგამომცემლო საქმე

ყოველივე კარგს, რაც ჩემშია, წიგნებს უნდა ვუმადლოდე... დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის ეს სიტყვები ახლობელია თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის. ჩვენს ქვეყანას სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოში ყველაზე მკითხველ ქვეყანას. „არც ერთი დღე უწიგნოდ“ — მილიონობით ადამიანის ცხოვრების წესია. ამით განსაზღვრება წიგნის გამომცემლობათა ბეჭშარიტად უდიდესი როლი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. მათი მარქსსტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

წიგნის გამოცემის მასშტაბი ჩვენს ქვეყანაში დღენიადაგ იზრდება, მატყიცდება მისი მატერიალური ბაზა. დაჩქარებული ტემპით ვითარდება საგამომცემლო საქმე ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, არაშავმიწანიადაგიან ზონაში. ქვეყნის 212 ცენტრალური და ადგილმპრივი გამომცემლობა ყოველწლიურად 1,9 მილიონამდე სიერთო ტირაჟით უშვებს 80 ათასზე მეტი დასახელების წიგნს.

სკკპ XXVI ყრილობამ აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც განვითარდეს ეს მნიშვნელოვანი საქმე, უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოთხოვნილება ბეჭდვითს პროდუქციაზე, განსაკუთრებით სბავშვო და მხატვრულ ლიტერატურაზე, გაუჯერებელ წიგნების პოლიგრაფიული შესრულების ხარისხი. დიდი პასუხისმგებლობით შეშაობენ საბჭოთა წიგნის გამომცემლები ამ ამოცანების შესასრულებლად. ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა წიგნების მომზადების შემოქმედებითი პროცესის დახვეწისათვის, უმჯობესდება საგამომცემლო საქმის დაგეგმვა, მაღლდება კულტურისა და წარმოების მნიშვნელოვანი დარგის ყველა რგოლის მუშაობის ხარისხი. გამოვდა ახალი სერიები და საგამომცემლობათშორისო ბიბლიოთეკებები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 30-ე წლისთავს. მკითხველთა მაღალი შეფასება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავზე — 60 დამკვიდრული ტირაჟი“, მათ ვადამდე შესასრულეს სენაკის დამზადების ვალდებულება და თითქმის ორ-ჯერ გადააჭარბეს საგეგმო მაჩვენებელს.

რაიონში გრძელდება სენაკის, ბრეშუშის ბარკის დამზადება. მეცხოველეობის მტაცეცი საკვები ბაზის შექმნისათვის, რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში თავდადებული შრომის მაგალითს გვიჩვენებენ კირ(ოს XX პარტყრილობის სახელობის კოლეტურნეობა-კომპლექსის, სოფელ ნაფიჩხოვოს მარკის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ლესკენრის კიროვის სახელობის სოლმეურნეობის მშრომელები.

ეს დღეები სოფლად

ვანი

რაიონის მეცხოველეები ენერგიულად იღვწიან საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის და წარმატებებსაც აღწევენ. ექვს თვეში მათ აწარმოვეს 1189 ტონა რძე, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1181 ტონისა, სახელმწიფოს მიპყიდეს 550 ტონა ხორცი, ნაცვლად 435 ტონისა, ხოლო რძის მიყიდვის საგეგმო დავალებას 50 ცენტნერით გადაჭარბეს.

რეკორდული მაჩვენებლები აქვთ სოფელ ბზვანის კოლმეურნეობის მეცხოველეებს, რომლებმაც გადაჭარბებით შეასრულეს ხორცისა და რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებები.

ნახევარი წლის დავალებანი სანავებოდ შეასრულეს მაღალმთიანი სოფლის სულორის საბჭოთა მეურნეობის, სოფლების ტობანიერის, უხუთის, სპარსიის კოლმეურნეობების მეცხოველეებმა. („კომუნისტის“ საკ. კორ.).

ჩხოროწყუ

ერთბაშად ორი შრომითი გმირობა მოიპოვეს ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მუშაობდნენ რა ფეგეზონი „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთვის — 60 დამკვრეული ვეირა“, მათ ვადამდე შეასრულეს სენაკის დამზადების ვალდებულება და თითქმის ორ-ჯერ გადააჭარბეს საგეგმო მაჩვენებელს.

რაიონში გრძელდება სენაკის, ბრეშუშის ბარკის დამზადება. მეცხოველეობის მტაცეცი საკვები ბაზის შექმნისათვის, რაიონის სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში თავდადებული შრომის მაგალითს გვიჩვენებენ კირ(ოს XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობა-კომპლექსის, სოფელ ნაფიჩხოვოს მარკის სახელობის კოლმეურნეობისა და სოფელ ლესკენრის კიროვის სახელობის სოლმეურნეობის მშრომელები.

ივლისი საკავშირო დამზადების თვეა

გაუთიბავი და დაუბინავები ერ არ დარჩეს არც ერთი მუშა ბალახი — ამ დევიზით იბრძვიან რესპუბლიკის საკვებმომამზადებლები.

საკვების დამზადებას ეშურებიან წითელწყაროს, მახარაძის, წალენჯიხის და სხვა რაიონების საზოგადოებრივი მეურნეობები. ამ რაიონებში დიდი გადამტანები არის შესრულებული სენაკის ჩადების გეგმები და თვის დამზადებაშიც საშუალო რესპუბლიკურ დონეს მნიშვნელოვნად უსწრებენ.

თვის დამზადებაში ჩამორჩენიან თეთრი წყაროს, სამტრედიის, საჩხერის, ყვარლის და ლაგოდეხის რაიონების მეურნეობები. („კომუნისტის“ კორ.).

60

საიუბილეო წელს — დამკვრელური შრომა!

ათვისებულია ახალი პროდუქცია

ბორჯომი. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ № 1 ჩამომსხმელ ქარხანაში მწყობრში ჩადგა პოლიეთილენის ყუთების დასამზადებელი საამქრო. ახალ დანადგარზე ყველა პროცესი ავტომატიზებულია. დანადგარი, რომელსაც ემსახურება სამი კაცი, ყოველ 1,5 წუთში უშვებს ერთ პოლიეთილენის ყუთს.

ამ სიახლის დანერგვამ საწარმოს კოლექტივს საშუალება მისცა შეუფერხებლად მოამარაგოს საჩამოსასხმელო ხაზები პოლიეთილენის ყუთებით, რომელთა გამოყენება აუცილებელია შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციისათვის. ამ ყუთებით ქარხანა მიიღებს ცარიელ ტარას, უზრუნველყოფილი იქნება მზა პროდუქციის ტრანსპორტირება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სარკინიგზო გაგონების დაცლასა და მოცდენების შემცირებას.

პოლიეთილენის ყუთების გამოყენებით და მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებით გამოთავისუფლდება 100 მუშა, რომლებიც სხვა საამქროებში იმუშავებენ, შემცირდება ხელით შრომა, დაიზოგება 458 ათასი მანეთი. თუ საწარმოს ერთი ხის ყუთი 2,70 მანეთი უღირდა, პოლიეთილენის ყუთი უჯდება 90 კაპიკი. ხის ყუთად 3-4 კილოგრამს იწონიდა, პოლიეთილენისა — 1,6 კილოგრამს. ყუთების დასამზადებელი დანადგარი უზრუნველყოფილია ნედლეულით და წელიწადში გამოუშვებს 80-90 ათას ცალ ყუთს. დღესასთვის გამოშვებულია 6 ათასი ცალი ყუთი.

უკვე 1.200 ტონა სენაჟი დამზადდა ცხინვალის რაიონის კ. ხეთაგუროვის სახელობის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობაში. ეს ციფრი თითქმის ახი ტონით აღემატება წლიურ დავალებას. თიმბა და საკვების დამზადება კვლავ გრძელდება.

„გავზარდოთ ყველა სახეობის ხაკვების წარმოება 1,6-1,7 ჯერ“ — გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სასურსათო პროგრამით. საკვებმომამზადებლები, რომლებიც აბორიკელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ისწრაფვიან უკვე წელს უზრუნველყონ ფერმები საკმარო რაოდენობის სხვადასხვა საკვებით.

ხურათებზე: კ. ხეთაგუროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მექანიზატორები დიმიტრი და ლევ გაგლოევები; თიმბა საბჭოთა მეურნეობის მინდვრებზე.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოკრონიკა).

კომბინატი მხრებს ზლის

ბაღდათელი სამთო მამდიდრებელი კომბინატის სპეციალისტებმა მეცნიერებთან ერთად შეიმუშავეს 1990 წლამდე პერიოდის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პროგრამა.

— ამ პროგრამის მთავარი მიმართულებაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საუბრისას საწარმოს დირექტორმა ა. ჭანტურიამ, — სრულიაოთ ტექნოლოგიური და უზრუნველყოთ საწარმოო პროცესთა ავტომატიზაცია, გავაღიღოთ დაზვერილი მადნის გადამუშავების მოცულობა, ავამაღლოთ ნედლეულის ხარისხი, მაქსიმალურად ოვაქციოთ საქმეში წარმოების ნარჩენები, დავიცავთ გარემო.

პროგრამით გათვალისწინებული რეკონსტრუქციის შედეგად მოლიანი პროდუქციის გამომშვება ხუთწლიდის დამლეკვ გაიზრდება რამდენიმე მილიონ მანეთით, „ მოწყობილობისა და ტექნოლოგიის განახლების სრული დამთავრება კი მეთორმეტე ხუთწლედში შესაძლებლობას მოგვეცემს საგრძნობლად გავადიღოთ პროდუქციის წარმოების მოცულობა. (საქინფორმი).

ზუგდიდის რაიონის ჩაის საწონი ფაბრიკის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. დღიდან გვიანობამდე არ წყდება მის პოლიგონებზე მოუღლელი შრომა. მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ინტერესითა და მოხდომებით შრომობენ მებეტონეები, მემონტაჟეები, მექანიზატორები, ყველა მშენებელი. ამგვარი ენთუზიაზმი და შემართება აქ ჯერ არ ახსოვთ. საქმე ის გახლავთ, რომ მშენებლებმა ნაკისრი ვალდებულება, რომ ფაბრიკა საექსპლოატაციოდ 1981 წლის დეკემბრის ბოლოსათვის ჩაებარებინათ, ვერ შეასრულეს. ახლა მშენებლები ჩქარობენ, რომ როგორმე დაარჩენონ ფაბრიკის ამოქმედება პირველი აგვისტოსათვის.

თავდაღვე ფაბრიკის მწარმოებლობა წელიწად 10 ათასი ტონის, ფულად გამოსახულებაში 55 მილიონი მანეთის პროდუქციის მიღებისათვის დაპროექტდა, მაგრამ პერსპექტივაში უფრო მეტის შესაძლებლობას იძლეოდა, და აი, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებენ. ხარჯთაღრიცხვაში შეტანილია ცვლილებები, ბევრი სამუშაო შეიცვალა, ბევრიც მოემატა, ასე რომ საქმეც მოიმატა. თანამედროვე საბჭოურ დიდმწარმოებლურ მექანიზმებზე, მაღქანა-დანადგარებზე რომ არაფერი ეთქვათ, შორეული ინგლისიდან ხუთი შემფუთავი ავტომატ-აგრეგატის მიღების შემდეგ კიდევ ორზე გაფორმდა ხელშეკრულება. წლეულს მესამე და მეოთხე კვარტალში მათი მიღება-დასამონტაჟების შემდეგ ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრე 14 ათას ტონამდე გაიზრდება და ქვეყნის მომმხარებელს 80 მილიონი მანეთის სხვადასხვა წონისა და ზომის ლამაზად შეფუთული პროდუქციის მიაწვდის, ხოლო სახელმწიფოს წლიურად 20 მილიონ მანეთამდე მოგებას მისცემს. ამიტომ ფაბრიკის მშენებლობის ვადამდე დამთავრება მეტად საჭირო და დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

ისიც უნდა თქვენ, რომ წინათ რაიონში დამზადებული ჩაის ნედლეულისგან (ზარშან დამზადდა 71.600 ტონა, წლეულს დამზადდება 72 ათას 300 ტონა) ადგილზე მიღებული პროდუქცია ქვეყნის საწონ ფაბრიკებს ეგზავნებოდა შესაფუთად. ახალი საწონი ფაბრიკის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი პროდუქციის 90 პროცენტი „დიდოზე მეიფუთება და ზუგდიდის მარკით მომხმარებელს მიეწოდება, რაც დიდად გაზრდის პასუხისმგებლობას, რომ მომხმარებლამდე მივიდეს მაღალი ხარისხისა და გემოვნებით შეფუთული ნაწარმი. ეს ახარებენ ზუგდიდელ მშრომელებს, ამიტომ მშენებლებს მხარში უდგანან და დიდად ეხმარებიან მუშახელით, ტექნიკით და სპეციალისტებით.

წლეულს, დიდთოვლობის, გადაუღებელი კოკისპირული წვიმებისა და წყალდიდობის მიუხედავად მშენებლებმა ყურჩიეს, დარსა და ავდარში თავდაუზოგავად გაისარჯნენ და იანვარ-მაისში 603 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა სამუშაოები შეასრულეს, რაც 5 თვის გეგმას დიდად აღემატება. ივნისში ასობით კუბური მეტრი მაწის სამუშაოები შესრულდა. ჩაიწყო და დამონტაჟდა ათასობით კუბური მეტრი რკინა-ბეტონის და ლითონის კონსტრუქციები. ყველაფერი ეს ძირითადად ფაბრიკისა და მისი ოთხი სასაწყობო მეურნეობის მშენებლობებზე გაკეთდა. თითქმის ეული საწყობის ტევადობა 1000 ტონას აღემატება. აქ ტექნოლოგიური პროცესი ჩაის პროდუქციის მიღებიდან მის დალაგებამდე (შემოზიდვა — გაზიდვა და სხვა პროცესები) ავტომატურად წარიმართება.

მშენებლებმა მუშაობა იმდაგვარად წარმართეს, რომ ფაბრიკის ძირითადი კორპუსის მშენებლობა თითქმის დაამთავრეს. ეგრეთ წოდებულ „ჭურჭილშან“ სამუშაოებსაც მაღე მორჩებიან. ამას წინათ დაიწყო იმპორტული ავტომატ-აგრეგატების დამონტაჟება, რაც ეროვნ ძნელია და დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ გადაწყდა, ორი დანადგარი პირველ აგვისტომდე დამონტაჟდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს. პარალელურად სხვა აგრეგატების დამონტაჟებაც დაიწყება. მეონტაჟეებმა ამ საქმეს თავი კარგად რაიმე ეღონა, ზელი გამოიღო ამ დიდი მშენებლობის დროული დამთავრებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების დიდი წვლილი. ჯერ იყო და მუშახელით, სპეციალისტებით, ტექნიკით ეხმარებოდნენ მშენებლებს. როცა საქმეს ამატა, საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ფაბრიკის მთავარი კორპუსისა და სასაწყობო მეურნეობების ცალკეული მონაკვეთები გაიპიროვნეს და საქმეს ჩინებულადაც გაართვეს თავი. ახლაც, როცა სოფლად მოზღვავებული სამუშაოა, მეურნეობთა ხელმძღვანელები მაინც ახერხებენ უბილავას და სხვებს.

ცხადია, ჩაის ფაბრიკას წყლის საკმარ მარაგი სჭირდება, ზუგდიდი კი წყლის დიდ ნაკლებობას განიცდის. აქ მშენებლებს მხარში ამოუდგა. და დაეხმარა კოლმეურნეობა ბიდროგეოლოგიური პარტია (ეფროსი ვ. დიხამინჯია), რომელმაც ფაბრიკის ტერიტორია გაბურღა და ფაბრიკას წიალის 45-50 მეტრი სიღრმიდან ტექნიკური და სასმელი წყალი მიაწოდა.

მართალია, მშენებლობაზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო, მაგრამ კვლავ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, სამუშაოთა ტემპი უნდა გაძლიერის რესპუბლიკის სასაოფლო მშენებლობის სპეციალისტრომ მეთე ტრესტმა (მართველი — გ. ყიფიანი), დასამთავრებელია სარეზერვო კვების დიდმანძილიანი ხაზის სამონტაჟო სამუშაოები, სასაწყობო მეურნეობის, ოთხი ბიდენი ამწის, სხვა მოწყობილობა-დანადგარების მონტაჟი, ყველა ეს საქმე შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს.

ასევე გააქტიურება მართვის ავტომატიზებული სამმართველოს მეცამეტე ტრესტმა (მართველი — გ. ალაშიძე), რომელიც ჩაინიზის ფაბრიკის ტერიტორიაზე ჩის ამენებს და ჯერ ჯერ კიდევ დიდძალი სამუშაო აქვს დარჩენილი. მშენებლები რიტმულად არ მარაგდებიან შპალებით, რელსებით და სხვა მასალებით.

ფაბრიკის ტერიტორია 3,5 ჰექტარს შეადგენს. სამუშაოები ჯერ სანაბეუროდაც არ არის შესრულებული. დასადგმელია ლამპიონები და სხვ. ასე რომ, ტერიტორიის კეთილმოწყობის დიდძალი სამუშაო დღემდე შესასრულებელია.

ერთი სიტყვით, ფაბრიკის მშენებლობა ძალ-ონონის დაძაბვას მოითხოვს, ვინაიდან ყოველი დღით ამ საწარმოს ამოქმედების დაგვიანება ათითასობით მანეთის ზარალია სახელმწიფოსათვის.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ასკმოქმედებელ ობიექტებზე

გადამწყვეტი შეტევა

დაიწყო ავტომატ-აგრეგატების დამონტაჟება

ასკმოქმედებელ ობიექტებზე ამ ბოლო დროს ვამართულად მუშაობს კაბელ-ამწეები, ეს კი იმ დიდი გულისყურის შედეგია, რომელსაც საქმისადმი იჩენს ინჟინერი შ. ქეკია. კარგად მუშაობენ მებეტონეები ალ. ბეგიანი და მომპარკეთებელთა ბრიგადები, რომელსაც ხ. ბეტრისიანი, ნ. ალბაიევ და ბ. ფიროსმანაკაც ; ხელმძღვანელობენ. ბრიგადიერები ქებით იხსენებენენ მუშა ხ. კუპრავას, კალატოზ შ. ბეგლარიანს, ელექტროშემდუღებელ ალ. ბეგიანს, ელექტროშემდუღებელ ალ. ბეგიანს, ელექტროშემდუღებელ ალ. ბეგ

პირველადი ორგანიზაცია — პარტიის საფუძველი

კონტროლის ძალით, კონტროლის უფლებით!

ჩვენი დღევანდელი ტრადიციული გვერდი ეძღვნება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიების მუშაობას, ამ საკითხზე სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას და დებულებს კომისიების შესახებ.

სკკ ცენტრალური კომიტეტის სახელმძღვანელო მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ეტაპზე პარტიული კონტროლის სწორ წარმართვას, პირველადი პარტორგანიზაციისა და ადმინისტრაციის ერთობლივ. გვგმაზომიერ მუშაობას.

პარტიის განვითარების მთელ ისტორიულ გზაზე პირველადი რგოლების როლისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლების მინიჭებას. პირველად ამის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო პარტიის XVIII ყრილობამ, როცა ეს უფლება მიანიჭა საწარმოთა პარტორგანიზაციებს. პარტიის XXIV ყრილობამ კი იგი გავრცელა ყველა პარტორგანიზაციაზე. ამასთან სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები ახორციელებენ აპარატის კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების, საბჭოთა კანონების დაცვის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, პარტიული კონტროლის გაძლიერების საკითხს უდიდესი ყურადღება დაუთმო პარტიის XXVI ყრილობამ. საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველადი, პარტიული ორგანიზაციები უფრო სრულად და უკეთ უნდა იყენებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას. სწორედ მათ უნდა დაძლიონ უწესებრივი თუ ბიუროკრატიული ბარიერები, უფრო გაბედულად და უკომპრომისოდ დაიცვან საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში სწორედ ყრილობის მოხოვნათა შესაბამისად არის განსაზღვრული ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის განმახორციელებელი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომისიების სადღეისო ამოცანები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა სკკ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კომისიათა მუშაობის გაკეთილშობილებანი.

ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საჭიროა განსაზღვროს რესპუბლიკის პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებშიც კარგად არის დაყენებული კომისიათა მუშაობა, განზოგადდეს მათი მუშაობის გამოცდილება. საანგარიშოსაარჩევნო პარტიულ კრებებზე, როგორც წესი, უნდა მოისმინონ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიათა თავმჯდომარეების ანგარიშები. პარტიის ყველა საქალაქო და რაიონულ კომიტეტში, მსხვილ პირველადს პარტორგანიზაციებში უნდა შეიქმნას სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით კომისიათა თავმჯდომარეების სკოლები. საჭიროა ყველა პირველადს ორგანიზაციაში პარტკომისიების, პარტბიუროების სხდომებზე, პარტიულ კრებებზე სისტემატიურად ისმენდნენ ხაზინძორთა, დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს იმის თაობაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან ისინი კომისიათა მიერ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს ამ მხრივ გადაუდებელი პრაქტიკული ამოცანები დაუსახა აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების პირველმა რესპუბლიკურმა კრებამ, რომელიც მიმდინარე წლის აპრილში გაიმართა. კრებაზე აღინიშნა, რომ პირველადი პარტორგანიზაციები ყოველთვის მიზანშეწონილად ვერ იყენებენ კონტროლის უფლებას, უფრედდებიან ადმინისტრაციის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

კონტროლის კომისიების მუდმივი ყურადღების საგანი უნდა გახდეს საამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების საკითხები. მათი ღირსების საქმეა შეუპოვრად ებრძოლონ სამუშაო დროის დანაკარგებსა და გაცდენებს, განაზორციელონ ღონისძიებანი მატერიალური რესურსების მომგირნე ხარჯვისათვის, სოციალისტური შეჯიბრების ქმედობის ამაღლებისათვის, საქმიანობის ყველა უბანზე საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

მთავარი ის არის, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია ღრმად ჩასწვდეს სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადაჭრისათვის ადმინისტრაციის საქმიანობას, განახორციელოს ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და ამით ამაღლოს ავტორიტეტი. მოგვეკალნოს შრომითი კოლექტივის ნამდვილი ლიდერის როლში.

როგორც ცნობილია, სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო დადგენილება ადმინისტრაციის საქმიანობისა და აპარატის მუშაობისადმი კონტროლის განმახორციელებელი პირველადი პარტიული ორგანიზაციების კომისიების შესახებ და ამ კომისიების თაობაზე, რითაც განსაზღვრა მათი ამოცანები, უფლებანი და მოვალეობანი, შექმნისა და ანგარიშების წესი.

სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა ამ საქმეზე ორ-ორ ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფი შეადგინა ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებათა შესაბამისად, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო სრულად და უკეთ უნდა იყენებდნენ ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მიზნით შექმნილ კომისიათა მუშაობას: როგორც გამოცდილება ცხადყოფს, კომისიათა დამამარებით პარტორგანიზაციები უფრო კონკრეტულად და მიზნადასახულად უწევენ კონტროლს ადმინისტრაციის საქმიანობას, აპარატის მუშაობას პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის, საბჭოთა კანონების დაცვისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაეკალათ დებულების შესაბამისად გააქტიურონ ადმინისტრაციის საქმიანობისა თუ აპარატის მუშაობისადმი კონტროლის განმახორციელებელი პირველადი პარტორგანიზაციების კომისიების მუშაობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ორგანიზაციებსა და უწყებებში წარმოებისა და მართვის სრულყოფის უმნიშვნელოვანეს საკითხთა კომისიების შექმნას.

მიზანდასახული, ქმედითი

როგორც დებულებაშია აღნიშნული, პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების, ეკონომიკის, სოციალურ და კულტურის განვითარებისა და ადამიანთა აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფის, ავრეთვე შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი გაფართოების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, კომუნისტთა ინიციატივისა და თვითმოქმედების განვითარების მიზნით სკკ წევრებისა და წევრობის კანდიდატებისაგან შეიძლება შეიქმნას:

მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, შენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწოფლო-სამეურნეო საწარმოთა, სპარლეტო ორგანიზაციათა, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სასწავლებლების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო დაწესებულებების პარტორგანიზაციებში — ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიები;

სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებისა და სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბჭოთა, სამეურნეო დაწესებულებებისა და უწყებების პარტორგანიზაციებში — პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისა და საბჭოთა კანონების დაცვისათვის აპარატის მუშაობისადმი კონტროლის კომისიები.

ამ ორგანიზაციებში, ასევე, ადამიანთა აღზრდისადმი, ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ფიზიკური და ზრდილობის, ეროვნული ურთიერთობების, ეროვნული ურთიერთობების, ეროვნული ურთიერთობების

მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლი: ახალი ეტაპი

1980 წლის ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ვრცელი დადგენილება „რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. როგორ სრულდება ეს დადგენილება? რა გაკეთდა გასული წლისბოლოს მანძილზე და რა უნდა განხორციელდეს მომავალში? ამ კითხვებით მიმართა საქართველოს კორესპონდენტმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. ედიშერაშვილს.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების შესახებ, — ამბობს ვალერიან ედიშერაშვილი, — უდიდესი როლი შეასრულა საერთაშორისო უფლებათა დაცვის ეროვნულ ასოციაციის მთელი საქმიანობის ორგანიზაციაში. სახელმძღვანელოდ ვიყენებ სიღმინის, მიზანდასახულობითა და პრაქტიკული ღირებულებით შესანიშნავი პარტიული დოკუმენტი. ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა განვახორციელოთ მასში მოთხოვნები.

დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ გაიზარდა სამართლებრივ ღონისძიებათა თავიდან აცილებასა და პროფილაქტიკაში მართლმსაჯულების აღსრულების როლი, ეიდი სოციალისტური ეროვნული ერთობა. ეს ასამართ არა მარტო ქვეყნდება პროცესების სიმწვავე, საზოგადოებრივი აქტიურობა, არამედ ვრცელდება ნაირ-ნაირი ეროვნები, იწყება მიოქმა-მოთქმა. მაშინ ლაპარაკიც ზედმეტია რამე აღმზრდელობითს ეფექტზე! არადა, რა ძნელია მიღწეო პროცესში, განსაკუთრებით რთულ პროცესში, ათობით, ზოგჯერ კ ასობით განსასჯელის, მოსარჩელის, მოპასუხის, ადვოკატის, მოწმის, ექსპერტისა და სხვების აწყობილ და მოეწყვეტლივ მონაწილეობის. ხშირად ბევრი მათგანი სხვა ქალაქის მცხოვრებია, ზოგი, ბოლოს და ბოლოს, შეიძლება უბრალოდ ავად გახდეს. და მაშინ სასამართლოს სხდომა გადადიდება ხოლმე.

სწორედ ამიტომ ჩვენ მკვეთრად გავაძლიერეთ პროცესის მოსამზადებელი ნაწილის როლი და მნიშვნელობა. ვეგეგმავთ და ვითვალისწინებთ მომავალი სასამართლო გარჩევის ყველა ელემენტს, ვახორციელებთ ყველა შესაძლებელ ღონისძიებას სასამართლო სხდომების ყოველგვარი შეფერხების ან ჩაშლის თავიდან აცილებლად. თვით სასამართლო პროცესის, განსაკუთრებით უმაღლესი სასამართლოს ბასელითი სესიის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია ყოველი დეტალი.

სასამართლო გარჩევის მთელი მიმდინარეობა იმენ უნდა წარმართვიდეს, რომ, რაც უნდა რთული და ჩახლართული იყოს საქმე, შეძლოს ეფლობლად უზრუნველყოს თითოეული გადაწყვეტილების მაღალი ხარისხი და კანონთან ზუსტი შესაბამისობა, მისი ყოველმხრივი სამართლებლივი დასაბუთება.

სასამართლოს გადაწყვეტილება დამაჯერებელი, გასაგები და სამართლიანი უნდა იყოს არა მარტო პროცესის თითოეული მონაწილისათვის, არამედ ფართო საზოგადოებრივობისათვისაც. სწორედ ამ მხრივ უნდა გაეაუმჯობესონ თავიანთი მუშაობა ახალგაზრდა, ბოლნისის, კასპის, თიანეთის, ზესტაფონისა და ბიაკიოკის რაიონების სახალხო სასამართლოებმა. მათ მიერ გამოტანილ მეტ ნოლ სასამართლო გაჩარჩენებსა და გადაწყვეტილებებს სიდავიდ ხდიან და ასაჩივრებენ მოქალაქეები, და ხშირად არცთუ ცოტა ასეთ გადაწყვეტილებას ეფუძნება ადვოკატ ბ. ბერიძის ინიციატივა. ასეთ ფაქტებს ადგილი ადგილ ადგილ ... [illegible]

[illegible]

ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ

[illegible]

დავიცვათ მსოფლიო ბირთვული ომისაგან

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივი განცხადება

[illegible]

ანგლიანური კანონი

[illegible]

ვიზიტი დამთავრდა

[illegible]

პარბოლა დასაშინებლად

[illegible]

ბრაზილიის ფოტოფაქტი

[illegible]

● ინგლისი

● ტაილანდი-კამბოჯია

პროვოკაციები საზღვარზე

[illegible]

● სალვადორი

ტრაგედია ჩალატენანგოში

[illegible]

საერთაშორისო შენიშვნები

წინდაუხედავი ნაბიჯი

[illegible]

ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატი

ESPAÑA 82

გოლო მატჩები

გთავაზობთ ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო შეხვედრების შედეგებს:

მატჩი № 51. შეხვედრა მესამე ადგილისათვის. ალიკანტე. პოლონეთი — საფრანგეთი 3:2 (2:1). პოლონელთაგან ბურთები გაიტანეს ზონიმ (57-ე), ტარდელიმ (69-ე) და ალტობელიმ (81-ე). გერმანელთაგან 1 ბურთი გაქვითა ბრაიტნერმა (83-ე), **იტალიელები მსოფლიო ჩემპიონატების იტალიაში მესამედ დაუფლნენ უძლიერესის წოდებას.**

მატჩი № 52. ფინალი. მადრიდი. იტალია — გერმ. 3:1 (0:0). იტალიელთაგან ბურთები გაიტანეს როსიმ (57-ე), ტარდელიმ (69-ე) და ალტობელიმ (81-ე). გერმანელთაგან 1 ბურთი გაქვითა ბრაიტნერმა (83-ე), **იტალიელები მსოფლიო ჩემპიონატების იტალიაში მესამედ დაუფლნენ უძლიერესის წოდებას.**

გოლეადორები

სულ ფეხბურთელთა XII მსოფლიო ჩემპიონატზე გატანილია 146 ბურთი (პირველ ეტაპზე გადიდა 100 გოლი, მეორე ეტაპზე — 29, ნახევარფინალურ მატჩებში — 8, III ადგილისათვის შეხვედრაში — 5, ფინალში — 4).

გთავაზობთ თცდაოთხივე ქვეყნის ფეხბურთელთა სიებს, რომლებმაც მეტოქეთა კარი აიღეს.

საფრანგეთი (ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა გაიტანეს ყველაზე მეტი გოლი — 16): ჟირესი — 3, როშტო, პლატინი, სიქსი და ფენენი — 2-2, სოლე, ტრეზორი, ჟირარი, ჟოლოი და ბოსი — თითო გოლი.

ბრაზილია (15): ზიკო — 4, ფალკაო — 3, ედერი, სოკრატესი და სერკინიო — 2-2, ოსკარი და ჟუნიორი — თითო.

იტალია (12): როსი — 6 (ბრაზილიასთან გაკეთა „ჰეთთრიკი", ე. ი. ერთ მატჩში გაიტანა 3 გოლი), ტარდელი — 2, კოსტა, გრაციანი, ალტობელი და კაბრინი — თითო.

გფრ (12): რუმენიგე — 5 (ჩილესთან — „ჰეთთრიკი"), ფიშერი, ლატბარსკი — 2-2, რაინდერსი, პრეგბენი და ბრაიტნერი — თითო.

უნგრეთი (12): კიში — 3, (სალვადორესთან — „ჰეთთრიკი"), ნილაში, პოლოსკეი და ფაზეკაში — 2-2, ტოტი, შენტეში და ვარგა — თითო.

პოლონეთი (11): ბონეკი — 4 (ბელგიასთან — „ჰეთთრიკი"), სმოლარეკი, ლიატი, ბუნეკოლი, ზარმანი, მაევსკი, კუნსეკიჩი და ციოლეკი — თითო.

არგენტინა (8): ბერტონი, მარადონა და ბასილარესი — 2-2, არდილესი და დიასი — თითო.

შოტლანდია (8): უარკი — 2, დალგლიში, რობერტსონი, არჩიბალდი, ჯორდანი, სიუნესი და ნეირი — თითო.

სსრ კავშირი (7): ბალი, გავრილოვი, ბლოხინი, ბალტაჩა, ჩიგაძე, შენგელია და ოსანესიანი — თითო.

ინგლისი (6): რობსონი და ფრენსისი — 2-2, მარინერი — 1; ინგლისელებთან მატჩში ერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა ჩეხოსლოვაკიელმა ბორჰოშმა.

ჩრდილოეთ ირლანდია (5): არმსტრონგი — 3, ჰემილტონი — 2.

ავსტრია (5): შანნერი — 2, კრანკლი, პეცი და პინტერმაიერი — თითო.

ალჟირი (5): ასადი — 2, მაჯერი, ბელუმი და ბენსაფლა — თითო.

ესპანეთი (4): უფორტე, ხუან�ტო, საფრა და ზამორა — თითო.

ბელგია (3): ვან დენ ბერგი, კოეკი და ჩერნანსკაი — თითო.

ჩილე (3): მოსკოსო, ნეირე და ლეტელიერი — თითო.

იუგოსლავია (2): გუდელი და პეტროვიჩი — თითო.

ჩეხოსლოვაკია (2): პანენკა — 2.

პერუ (2): დიასი და ლა როსა — თითო.

ჰონდურასი (2): რივერა და ლენგი — თითო.

კუვეიტი (2): ელ დაიილი და ელბულოსი — თითო.

ახალი ზელანდია (2): სამნერი და ვეფინი — თითო.

კამერუნი (1): მბიდა — 1.

სალვადორი (1): რამირესი — 1 გოლი.

ამრიგად, ჩემპიონატის მთავარი სნაიპერია **იტალიელი როსი,** რომელმაც მეტოქეთა კარში 6 გოლი გატანა. 5 ბურთი აქვს გატანილი გერმანელ რუმენიგეს, 4-4 — პოლონელ ბონეკს და ბრაზილიელ ზიკოს, 3-3 — ფრანგ ჟირესს, ბრაზილიელ ფალკაოს, უნგრელ კიშს და ჩრდილოეთირლანდიელ არმსტრონგს.

გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების ნახევარფინალურ მატჩში პენალტების სერიაში გატანილი გოლები არ ითვლება.

პაოლო როსის ნადავლი

მადრიდიდან მოვიდა ცნობა, რომ იტალიელთა ფორვარდი პაოლო როსი ესპანელებმა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და „ოქროს ბურთით" დაჯილდოდა. მასვე გადაეცა „ოქროს ბუტი" ყველაზე მეტი გოლის გატანისათვის. აღსანიშნავია, რომ ორგენტინაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ასეთივე ორი პრიზით დაჯილდოდა არგენტინელი მარიო კემპესი.

თავი ისახელეს

ნოვოსიბირსკში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ასპარეზობა ივანე პოდუბნის პრიზზე. ამ შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარჩაუნილებმა: **რუსთაველმა თემო ყაჩარაველმა და ქუთაისელმა თეიმურაზ აფფასოვამ.** თავიანთ წონის კატეგორიებში მათ უძლეველესი წოდება მოიპოვეს. საბჭოთა სპორტსმენთაგან პირველი ადგილები მოიპოვეს აგრეთვე ნიკოლაეველმა ანატოლი რომანოვემ, მოსკოველმა რიფატ ისლანოვმა, კიროველმა ალექსანდრე ლიტვინოვმა, ალმათელმა კადირბეგ დუშემბიევმა, ეორო ვიძე, შენგელია და ოსანესიანი — თითო.

ინგლისი (6): რობსონი და ფრენსისი — 2-2, მარინერი — 1; ინგლისელებთან მატჩში ერთი გოლი საკუთარ კარში გატანა ჩეხოსლოვაკიელმა ბორჰოშმა.

ჩრდილოეთ ირლანდია (5): არმსტრონგი — 3, ჰემილტონი — 2.

ავსტრია (5): შანნერი — 2, კრანკლი, პეცი და პინტერმაიერი — თითო.

ალჟირი (5): ასადი — 2, მაჯერი, ბელუმი და ბენსაფლა — თითო.

ესპანეთი (4): უფორტე, ხუანტო, საფრა და ზამორა — თითო.

ბელგია (3): ვან დენ ბერგი, კოეკი და ჩერნანსკაი — თითო.

ჩილე (3): მოსკოსო, ნეირე და ლეტელიერი — თითო.

იუგოსლავია (2): გუდელი და პეტროვიჩი — თითო.

ჩეხოსლოვაკია (2): პანენკა — 2.

პერუ (2): დიასი და ლა როსა — თითო.

ჰონდურასი (2): რივერა და ლენგი — თითო.

კუვეიტი (2): ელ დაიილი და ელბულოსი — თითო.

ახალი ზელანდია (2): სამნერი და ვეფინი — თითო.

კამერუნი (1): მბიდა — 1.

სალვადორი (1): რამირესი — 1 გოლი.

ამრიგად, ჩემპიონატის მთავარი სნაიპერია **იტალიელი როსი,** რომელმაც მეტოქეთა კარში 6 გოლი გატანა. 5 ბურთი აქვს გატანილი გერმანელ რუმენიგეს, 4-4 — პოლონელ ბონეკს და ბრაზილიელ ზიკოს, 3-3 — ფრანგ ჟირესს, ბრაზილიელ ფალკაოს, უნგრელ კიშს და ჩრდილოეთირლანდიელ არმსტრონგს.

გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრები გუნდების ნახევარფინალურ მატჩში პენალტების სერიაში გატანილი გოლები არ ითვლება.

მოკლედ

ფრანგურთი. თბილისში გაიმართა სსრ კავშირისა და იაპონიის ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. პირველ დღეს გაიმარჯვეს იაპონელებმა (3:1), მეორე დღეს — საბჭოთა სპორტსმენებმა (3:1). მანამდე ამ გუნდებმა სვერდლოვსკში იასპარეზეს, სადაც იაპონელებმა 2 შეხვედრა მოიგეს და 1 წააგეს.

რედაქტორი
გ. ბედნენიშვილი.

ტელევიზია

13 ივლისი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ეროვნა", 9.45 — კ. სიმონოვის „რუსი ადამიანები". ფილმ-სპექტაკლი, 12.30, 15.30 — ახალი ამბები, 15.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები ბარემოს დაღვის შესახებ, 16.45 — „კობაზიძის სკოლა". ტელენარკვევი სსრ კავშირის სახალხო მასწავლებლის, ქ. თბილისის № 77 სკოლის დირექტორის გ. ბ. კობაზიძის შესახებ, 17.15 — ბელორუსიის სახელმწიფო კონსერვატორიის ციმბალისტთა ანსამბლის კონცერტი, 17.45 — ვ. ასტაფიევის „ვარდისფერფაფარიანი ცხენი", 18.30 — ახალგაზრდათა მიუსმართები, 19.30 — ყოველ ნახატში მზეა, 19.45 — დღეს მსოფლიოში, 20.00 — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს ოუსულ ხალხურ საკრავთა ანადგმიეთა ორკესტრის კონცერტი, 20.30 — მეცნიერება, 21.00— საფრანგეთის ტელევიზიის პროგრამა, 22.00 — „ეროვნა", 22.35 — პოეზია. ვლადიმერ მაიაკოვსკი, 23.20 — დღეს მსოფლიოში. 23.35 — სსრ კავშირის ჩემპიონატი ცურვაში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დღეს ეარდენი, 9.20 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები, 9.40 — მხატვრული ფილმი „ჩვენი ვალები", 11.05 — ნორმა შემოქმედება, 11.35 — ფრანგული ენა, 12.05 — რას და როგორ ასწავლიან პროფესიონალურ სასწავლებლებში. „ზეკა, ფრეგატები, ოცნებები". ქ. ბალტიისკის № 2 პროფესიონალური სასწავლებლის შესახებ, 12.35 — ფილმი — ბავშვებს. „სატვირი". II სერია, 13.45 — საფეხბურთო მიმოხილვა, 14.15 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. ვიეტნამის ხელოვნება, 14.55 — დოკუმენტური ტელეფილმები, 15.35 — ჰ. ბ. ჩაიკოვსკი — მეოთხე სიმფონია ფა მინორი, 16.20, 19.00 — ახალი ამბები, 19.20 — უკრაინის ს. ვორონცოვი (ტიტარა), 19.40 — „ნება გვიბოძეთ, შემოვიდეთ" — ახალგაზრდა ოჯახის პრობლემებზე, 20.30 — თანამეგობრობა. ტელეეფორნალი, 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!", 21.15 — სამშობლოს სურათები". ფილმ-კონცერტი, 21.30 — ერთი კვირის სპორტული ამბები, 22.00 — „ეროვნა", 22.35 — მხატვრული ფილმი „დიადი გარდატეხა".

13 ივლისი

თბილისი

პირველი პროგრამა. 16.45 — ეიკელიდან „საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლები" — „ლომაზიძის სკოლა" (ბ.), 17,15 — მუსტაპლეკაციური ფილმი, 17.35 — ბავშვებისათვის — „მიბურთალსა მოედანი", 18.00 — „ჩვენი სტუმრები" — ნეირიფიზიოლოგთა საკავშირო კონფერენცია თბილისში (განმეორებით), 18.35 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.10 — „სსრ კავშირის შემქნის მე-60 წლისთავისათვის" — „შეგობრობა გზად და ხიდად", 19.45 — „ღღეს მსოფლიოში" (ბ.), 20.00 — „მოაზბე", 20.30 — ხალხური კონცერტი, 21.00 — საფრანგეთის ტელევიზიის პროგრამა (ბ.), 22.00 — „ეროვნა" (ბ.), 22.35 — ქართული მხატვრული ფილმი „ნრდილი გზაზე".

მეორე პროგრამა. 17.05 — ეკონომიკაზე „კომკავშორეული კალენდრის მიხედვით", 17.25— ეანცხადებები, 17.30 — მხატვრული ფილმი „მოქალაქე ლეიშკა".

ცენტრალურ-ევროპის ბოსკოვის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელი ფაკულტეტი

აცხადებს 1982-83 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღებას დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (ქართული სექტორი); **ვაჭრობის ეკონომიკა** (ქართული სექტორი); **საბუღალტრო აღრიცხვა** (ქართული და რუსული სექტორები).

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი ასაკის განუსაზღვრელად, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება და მუშაობენ არჩეული სპეციალობის მიხედვით.

ინსტიტუტში შემსწავლენი ერთ-ერთ საგნად (წერა) — რუსულ სექტორზე შემსწავლენი.

ოჯრის ან ვერცხლის მედალოსნები, სამეცალო სპეციალური და პროფესიონალური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი; რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას:

საქონელმცოდნეობის სპეციალობაზე შემსწავლენი — ქიმიაში, ვაჭრობის ეკონომიკისა და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე შემსწავლენი — გეოგრაფიაში.

ალნიშნულ საგნებში „ფრიადი" შეფასების მიღების შემთხვევაში ისინი თავისუფლდებიან სხვა გამოცდებისაგან, ხოლო „კარგი" ან „დამაკმაყოფილებელი" შეფასების მიღებისას აბარებენ სხვა საგნებსაც. მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების მიხედვით.

ინსტიტუტში ჩარიცხვა მოხდება სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად. კონკურსი გარეშე ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა შემდეგ ინსტიტუტში პირველ რიგში ჩაირიცხებიან პირები, რომელთაც აქვთ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში სპეციალობის მიხედვით პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 6 თვის სტაჟი.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, რომელსაც ანდაზეულ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები და საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები: საწარმოს (დაწესებულების) ხელმძღვანელის მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ამონაწერი, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს დამოწმების თარიღი (თვე-ცალად); სამედიცინო ცნობა, (ფორმა № 286), ექსეს ფოტოსურათი (დადიგებული უმეფოდ), ზომა 3X4 სმ.

ყველა დოკუმენტი შედგენილი უნდა იყოს ერთ ფურცელზე და ამბტურიტეტმა პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად პირადად უნდა წარმოადგინოს.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, 10-დან 16 საათამდე.

მიხაილი გამოცდები გაიმართება პირველი აგვისტოდან. დაწერილობითი ცნობების მიღება შეიძლება შესაბრაზეგ კომისიაში. ტელეფონი: 37-16-78.

მინისტრი: თბილისი, ვაჟაფშაველას პრეზიდენტი № 40. მოსკოვის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფაკულტეტი. მეტროს სადგური „ფელისი".

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1982-1983 სასწავლო წლისათვის

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის (უშ. ჩხეიძის ქ. № 8).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. არქიტექტურა, 2. პუროის ცხობის ტექნოლოგია, 3. შენობების სანტექნიკური მოწყობილობა, 4. სოფლის დასახლებული ადგილების არქიტექტურა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი). 5. კერამიკის ტექნოლოგია, 6. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (8 და 10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 7. გაზის მეურნეობა (10 კლასის ბაზა, რუსული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 2. გაზის მეურნეობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ზრდადი ნიშანი დროზეს ორდენოსანი თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის (ავლოს ქ. № 70).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები, 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. ელექტრომანქანათმშენებლობა (8 და 10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 5. თვითმფრინავშენებლობა (8 და 10 კლასის ბაზა, რუსული სექტორი), 6. თვითმფრინავების რადიოელექტრომოწყობილობის მონტაჟი (8 კლასის ბაზა, რუსული სექტორი), 7. შედუღების წარმოების ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, რუსული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, (10 კლასის ბაზა, ქართულ-რუსული სექტორი, 8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 2. ლითონების ჭრით დამუშავება (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი (ქერჩის ქ. № 6).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. საფეიქრო მრეწველობის მანქანები და მოწყობილობანი, 2. აბრეშუმის პარკის ამოხვევა და ფრეხა, 3. ქსოვილ წარმოება, 4. ქსოვილების გამოყვანა, 5. სამკერვალო წარმოება, 6. ტრიკოტაჟის წარმოება (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 7. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართულ-რუსული სექტორი), 8. ზალის დართვის წარმოება (8 კლასის ბაზა ქართული, 10 კლასის ბაზა რუსული სექტორი), 9. ბამბის დართვის წარმოება (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობებზე: 1. ბამბის დართვის წარმოება, 2. ქსოვილ წარმოება, 3. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. ბამბის დართვის წარმოება, 2. სამკერვალო წარმოება, 3. ტყავის ნაწარმის ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

თბილისის კაბეშირსაბმელოების რადიოელექტრომეტალურგიული ტექნიკუმის (ოქტომბრის ქ. № 2).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, 2. რადიოსპარატმშენებლობა, 3. სატელევიზო ტექნიკა და რადიოსარელეო კავშირი, 4. საფოსტო კავშირი, 5. მრავალარხიანი ელექტროკავშირი (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 6. ავტომატური ელექტროკავშირი (10 კლასის ბაზა, ქართულ-რუსული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა, 2. საფოსტო კავშირი, 3. ავტომატური ელექტროკავშირი, 4. მრავალარხიანი ელექტროკავშირი (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმი (II პიონერის ქ. № 10).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა, 2. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ორგანიზაცია, 3. საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 4. საბჭოლის მომზადების ტექნოლოგია, 5. სამაცივრო-საყმაშრესორო მანქანები და დანადგარები, 6. საქონელმცოდნეობა და სასურსათო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია (8 და 10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. საქონელმცოდნეობა და სამრეწველო საქონლის ვაჭრობის ორგანიზაცია, 2. საბუღალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 3. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა (8 კლასის ბაზა რუსული სექტორი), 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ზუსტდიდის კოლიტექნიკური ტექნიკუმის (სოხუმის ქ. № 2ა).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამშენებლო მანქანები და მოწყობილობანი, 2. ელექტროზა-ქიმალდის წარმოება, 3. დაკოსტრვების ტექნოლოგია, 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 5. ჰიდროტექნიკური შენებლობა, 6. საბუღალტრო აღრიცხვა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 7. ჩაის ტექნოლოგია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. საბუღალტრო აღრიცხვა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

რუსთავის კოლიტექნიკური ტექნიკუმი (გაგარინის ქ. № 25).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. საგლინაცი წარმოება, 3. ფოლადის წარმოება, 4. სარმიდე წარმოება, 5. შაი მეტალურგიის ქარხნების მოწყობილობა, 6. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია, 7. ქიმიური ბოჭკოების ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 8. შაი ლითონების სამსხმელო წარმოება, 9. ავტომატური მოწყობილობათა ექსპლოატაცია მეტალურგიაში, 10. არაორგანული ნივთიერებებისა და მინერალური სასუქების ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, რუსული სექტორი), 11. არაორგანული ნივთიერებებისა და მინერალური სასუქების ტექნოლოგია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 12. შაი მეტალურგიის ქარხნების მოწყობილობა (8 კლასის ბაზა, რუსული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობაზე:

1. ორგანული სინთეზის ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ზუსტადფინანსურ შენაწილობათა ქარხნის საღამოს სწავლების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. შაი მეტალურგიის ქარხნების მოწყობილობა, 3. ლითონების ჭრით დამუშავება, 4. ელექტროზა-ქიმალდის წარმოება, 5. საბუღალტრო აღრიცხვა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 2. ლითონების ჭრით დამუშავება, 3. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 4. სამკერვალო მოდელირების ტექნოლოგია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამკერვალო მოდელირების ტექნოლოგია, 2. სამრეწველო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა, 3. ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 4. სამკერვალო ტექნოლოგია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ბორჯომის სატყეო მეურნეობის ტექნიკუმი (საბჭოს ქ. № 21).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. საავეჯო წარმოება (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა, 3. სასტემრო მეურნეობა, 4. სასოფლო-სამეურნეო და სამოქალაქო შენებლობა, 5. სატყეო მეურნეობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ჩხოროწყუს ტექანიკური ტექნიკუმი (დ. ჩხოროწყუ)

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა, 2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 3. ჩაის ტექნოლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

დაუსწრებელი განყოფილების სპეციალობაზე: 1. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (8 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

ამბროლაურის ტექნიკუმი (ბაბუშერის ქ. № 8).

დღის განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამეწარმეო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 2. ბეტონის ნაკეთობათა მშენებლობა, 3. მეტეოროლოგია (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი).

საღამოს განყოფილების სპეციალობებზე: 1. სამეწარმეო საწარმოთა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 2. სამეწარმეო და სამოქალაქო შენებლობა (10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 3. ელექტროზამბარეშენებლობა (8 და 10 კლასის ბაზა, ქართული სექტორი), 4. ოქროს ან ვერცხლის მედალი, ოგრეთვე საშუალო პროფესიონალურ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი;

ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის შინსტერთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების და ოლანგანების ოფიცრები, პრაპორშჩიკები და მიჩმანები, რომლებიც ავადმყოფობის, ასაკის და შტატების შემცირების გამო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი და თადარიგში არიან გასული (დათხოვნიდან 2 წლის განმავლობაში);

გ) საშუალო სკოლადამთავრებულები, რომლებიც ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებისათვის დაჯილდოებული არიან ქების სიგელით, თუ ამ საგნებში გათვალისწინებულია მისაღები გამოცდები;

დ) ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის რვაწლიანი, საშუალო და საშუალო პროფტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულები განათლების საბუთების (მოწმობა, ატესტატი, დიპლომი) კონკურსით, რომელსაც აქვთ შეფასებები „4" და „5" — შემდეგ მწვავე დეფიციტურ სპეციალობებზე: ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ექსპლოატაცია, ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები, საბრძმედე წარმოება, ფოლადის წარმოება, საგლინავი წარმოება, შედუღების წარმოების ტექნოლოგია, ნავთობისა და გაზის სარეწოების მოწყობილობა, სამაცივრო-საკმაშრესორო მანქანები და დანადგარები, სამშენებლო მანქანები და მოწყობილობა, ელექტროამარაგშენებლობა, ჰიდრომელიორაცია.

ე) ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულები განათლების საბუთების (მოწმობა, ატესტატი) კონკურსით— შემდეგ მწვავე დეფიციტურ სპეციალობებზე: შავი ლითონების სამსხმელო წარმოება, ქვანახშირის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავება, არაორგანული ნივთიერებებისა და მინერალური სასუქების ტექნოლოგია;

4) იმათ, რომლებმაც საშუალო სკოლა დაამთავრეს წინა წლებში და შედიან ღღის დასწრებულნი, ყოველი იმ წლისათვის, როცა ისინი არ სწავლობდნენ, უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა 6 თვის სტაჟი.

განცხადება მიღების შესახებ უნდა შეიტანოთ საშუალო სპეციალური სასწავლებლის დირექტორის სახელზე ერთიანი ფორმით. განცხადებას დაერთვის: დოკუმენტი რვაწლიანი ან საშუალო განათლების შესახებ (დედანი), სამედიცინო ცნობა—ფორმა № 286, ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ, ზომა 3X4 სმ). სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს დაბადების მოწმობას, პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

განცხადებები მიიღება არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — 31 ივლისამდე, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის — 14 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები დაიწყება პირველ აგვისტოს.

დაწერილობითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებლის დირექციას.

კომუნისტი ინდექსი უე 09278 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოცსტატური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20